

ქ. თბილისის სსიპ 130-ე საჯარო სკოლა

tbilisi130@mes.gov.ge

ტელ: 252-88-77

გუნდი: „ლომგული გიდები“

გუნდის წევრები: მარიამ სტურუა IX¹

სალომე ხიდუშელი IX¹

ნინი ნარიმანიძე IX¹

ელენე ჭავჭავაძე IX¹

გვანცა ხეცურიანი IX¹

ლაზარე მაჭარაშვილი IX¹

ხელმძღვანელი: მედეა გოცაძე (ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი)

Handwritten text in Georgian script, likely a letter or document, partially obscured by a yellowed paper overlay.

Handwritten text in Georgian script, partially obscured by a yellowed paper overlay.

Handwritten text in Georgian script, partially obscured by a yellowed paper overlay.

ყვლაზე ქართველი ბრიტანელები

(ისტორიული პორტრეტები)

14/2 - janvier 1916
Chère princesse Olga,
Depuis plus d'un
mois je suis à la campagne chez ma
mère, tout près du cimetière où ma
chère Marjory repose sous les fleurs
sur une belle colline entourée de
prairies vertes et paisibles.
Aujourd'hui j'ai été obligé d'
aller à Londres, ce qui m'arrive
très rarement et à ma rentrée ce



POST + CARD.
This space may now be used for communication with all countries, except United States, Japan and Spain.
Tiflis
Princess Olga
Malinin
Tiflis

წლათი თქვენთან მუშინას თუ ვს
ძიხვებთო ქალიერი რა ღეგვან ახ
რადანბნებულთო. ვსწეს რა ვსწეს
მავხად ახ ვური ღამთობნი შუქრამა
ახიხ რა მანქავ-წერი ახა მძქვ
წიბვა ღეგვანს ახა ყოვერია
ქალიერი, მავხად წიბვა სხვა ახი
რა მალი-წესა სხვაა.
წება თუ უახლ-წიქვ მავნი
ვანი სქალიერი. ვითა სმუხ-ბე-
საყვალერი ახიხ.



British Consulate,
St. Petersburg.
16/29 აგვისტო 1906

ქართველებით აღსავსე მე-20 საუკუნე არცთუ ისე სახარბიელოდ დაიწყო. აქ დასრულდა ილიას ეპოქა და დაიწყო ახალი ბრძოლა ქართველების ეროვნული არსებობისა. წინ გველოდებოდა უამრავი ბრძოლა, დამარცხება და ისევ ბრძოლა გამარჯვებისთვის. იქნებ ეს იმის საზღაური იყო, რომ საქართველოს სინდისს ვესროლეთ, ვესროლეთ ჩვენს „ენას, მამულს, სარწმუნოებას“. მაგრამ ის ხომ წინაპრებმა დაგვიტოვეს... წინაპართა დანატოვარი კი ასე არ ქრება, არც ილია გამქრალა, ვერც გაქრებოდა... ილიამ ხომ ის მყარი საძირკველი გაგვიმაგრა, რომელსაც მთელი 19 საუკუნე არყევდა მტერი. ისე გაგვიმაგრა, ისე ჩაგვიდულაბა, რომ ჯერ კიდევ მის ნაშენს ვეყრდნობით, თავსა და გულს ვიმაგრებთ, მომავლის იმედს ზედ ვაშენებთ, ვქართველობთ და ვმამულიშვილობთ, მას რომ გაუხარდებოდა ისე ვერა, მაგრამ მაინც..

ილიას მადლიანმა სიტყვამ და კალამმა ბევრი მეგობარი შესძინა საქართველოს.

A. 1720/6
30
11/11

ბუხარესტის ქუჩა
- Bucharest, Kent
England

8 სექტემბერი 1894

მეგობარი სკოლაში!

ინგლისურად თარგმანი
კაქენი თქვენსა "განკაცობისა", რომლისა
უწყობისა ლოცვისა თქვენი მშვენიერი
ენაში რომ მე ვკითხვი, და რომელსა წიხება
ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს
მე დიდი სურვილი მაქვს
გაუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის
სიამოვნება რომელიც მე ამ ლოცვა
მაგობლობისა ამისთვის ვაქადრებ თხოვნა
თქვენი ხელს ეს ჩემი თარგმანი გამოუქმად.
ვსკადრ სიხუთი სიხუთად
მას გამოთქმა, მაგრამ მეტი მისი მშვენიერება
უნდა იყოს, საჭიროდ, დავარგული უქნა
თარგმანისში.

ჩემი ძმა დიდი მადლი
წიხება, რომელსა წელიწადის უკან,
გვილიისში, თქვენი გაქნობა წინა, და მე
დიდი იმედი მაქვს რომ მეუ მაგასთან

11/11

2)

11 bis Strada Surorilor.
Bucharest.

წელიწადის თქვენთან მუშისათვის თუ ვაქ
მიხვდებით ქართული რა ჩემგან ასე
რომ მახინჯავს. ვწახსენებ და ვწახსენებ,
მაგას ამ ვიღო და მათი უმრავლეს
ახის და მახინჯავს ახა მათ
წიხება ჩემთვის ახა არვიღო
ქართულიც, მაგას წიხება სხვა ახის
და მათ წიხება სხვა.

ნება თუ უნდა ვიყავ მკვირი
ვაქი სიხინჯავში. ვითა სიხინჯავი
სიხინჯავი ახის.

ჩემი უნდა მისი მადლი
ვაქავს თქვენ ძვირფასს მე-ს წიხინ
წიხის. თქვენ ხმ ჯერ უნდა წიხინჯავ

ქართული ენის შესწავლა. ქართული ენის შესწავლა
ქართული ენის შესწავლა ქართული ენის შესწავლა
ქართული ენის შესწავლა ქართული ენის შესწავლა
ქართული ენის შესწავლა ქართული ენის შესწავლა

ამ სიტყვების ავტორი მარჯორი უორდროპია, ოლივერ უორდროპის და, რომელიც ქართული ენის შესწავლას 1880-იანი წლების მიწურულს დამოუკიდებლად შეუდგა მარი ბროსეს "ქართული ენის თვით-მასწავლებლის" და

სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით. მარჯორიმ ქართული ენის შესწავლის შემდეგ 1894 წელს თარგმნა და გამოაქვეყნა, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული

ქართული ენის შესწავლა. ქართული ენის შესწავლა
ქართული ენის შესწავლა ქართული ენის შესწავლა
ქართული ენის შესწავლა ქართული ენის შესწავლა


და სულხან საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუისა". იმავე წელს ოლივერი ხელმეორედ გაემგზავრა საქართველოში. ბათუმიდან ოლივერის დეპუტის მიღების შემდეგ, მარჯორის კვლავ ადგილი დაუოკებელი სურვილი საქართველოში ჩასვლისა. საპასუხო ბარათში ის ძმას სწერდა: "არ ვიცი რატომ არის, რომ საქართველოს გარდა ვერაფერზე ვფიქრობ და ვლაპარაკობ!...ძალიან მიხარია რომ შენი იქ ხარ, მაგრამ ეჰ,რა იქნებოდა მეც რომ შენთან ვყოფილიყავი"...

ოლივერ უორდროპმა, საუნივერსიტეტო განათლება ოქსფორდში მიიღო და იგი ჭაბუკობიდანვე მოგზაურობით ყოფილა გატაცებული. მას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ჰქონია მოვლილი. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, 1887 წლის აპრილში, 22 წლის ოლივერ უორდროპი პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე მოიარა. იგი ყოფილა ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, კახეთსა და ხევში. ახალგაზრდა ინგლისელ სტუმარს მასპინძლობას ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი უწევდნენ. ასე მიიღეს „ქართული ნათლობა“ ჩვენმა ბრიტანელმა მეგობრებმა.

წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერ უორდროპს ინგლისში დაბრუნებისთანავე დაუწერია შესანიშნავი წიგნი "საქართველოს სამეფო" ეგზოტიკური ქვესათაურით - "მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ქალების, ღვინისა და სიმღერის ქვეყანაში" წიგნი. 1888 წლის შემოდგომაზე ლონდონში დაიბეჭდა.

"საქართველოს სამეფოს" ავტორი აღნიშნავს, რომ "საქართველო პრაქტიკულად უცნობია ბრიტანელი საზოგადოებისთვის.

საქართველოს წარსული კი ისეთია, რომ შეუძლია, თვით რომსა და საბერძნეთს დიდება შემატოს. ქვეყანა სახელგანთქმულია თავისი მშვენიერი ქალებით, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და, მაჰმადიანი მტრებით გარშემორტყმული, მარტო იბრძოდა ქრისტიანობის დასაცავად". ის ხაზს უსვამს, რომ ქრისტიანულ სამყაროს გარკვეული მორალური ვალდებულება ეკისრება ამ ქრისტიანი ერის წინაშე. წიგნი შესანიშნავად იყო გაფორმებული, ყდასა და სატიტულო გვერდს ამშვენებდა ბაგრატიონთა გერბი, საქართველოს ფერადი რუკა, ქართული მხედრული ანბანი.



აი, ასეთი ძალა ჰქონდა ილიას საზოგადოებაში მოხვედრას, ბუნებრივია, ილიას საზოგადოებაში იგულისხმება ყველა ის საზოგადო მოღვაწე, რომლებაც თავიანთი სიყვარულით, მეცადინეობითა და გონიერებით სამუდამოდ დააკავშირეს ამ ღირსეულ ინგლისელთა გულები საქართველოსთან. „ყველაზე ქართველი ბრიტანელი“, _ ასეთი სახელით ვიცნობთ დღეს სერ ოლივერ უორდროპს. ყველაზე ქართველი კი იმას ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როცა „ მონასტერი აირია“, საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ომში ჩავებით, ეთნო კონფლიქტების საფრთხეც მოგვიახლოვდა და დავიქსაქსეთ, ბრიტანელი პოლიტიკოსები და კონკრეტულად კომისრები (ოლივერ უორდროპი და სტოქსი) არ დაიბნენ, ბოლომდე შეინარჩუნეს ჩვენი რწმენა, ეცადნენ ჩვენს დაცვას, გადარჩენას. ბოლო წუთებამდე იღწვოდნენ ამისთვის და ძალისხმევას არ იშურებდნენ.





„ცნობილი ფაქტი იყო, რომ უორდროპები საქართველოს დიდი მოყვარულები იყვნენ და ყოველთვის მაწუხებდა კითხვა: „ნუთუ არაფერი გააკეთა ოლივერ უორდროპმა, როგორც დიპლომატმა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის? და თუ გააკეთა, რატომ არაფერი ვიცით?“ , _ წერს ბექა კობახიძე თავის წიგნში (სერ ოლივერ უორდროპი 150) _ „საბჭოთა ცენზურა ვერ დაუშვებდა ოლივერ უორდროპის, როგორც ანტიბოლშევიკი და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მოღვაწის წარმოჩენას. ამიტომ უორდროპები ნაჩვენები იყვნენ, როგორც კულტურული აქტორები, მთარგმნელები, მოგზაურები და ა.შ. ჩვენ ზედმიწევნით ვიცოდით მარჯორის მიერ „ვეფხისტყაოსანის“ (და არამარტო) თარგმნა, მისი კავშირები ილია ჭავჭავაძის

ოჯახთან, სხვა მოწინავე ქართულ წრეებთან. არადა საქართველოს ბრიტანელ მეგობარს თავისი ცხოვრებისა თუ ბედნიერების ამოცანად საქართველოს დამოუკიდებლობა დაესახა; ამ დოკუმენტებში იყო მისი რისკიანი ბრძოლა, სიყვარული და მისწრაფება.”

1919-1920 წლებში უორდროპი „ტფილისში“ ცხოვრობდა და დიდი ბრიტანეთისთვის დიპლომატიური სამსახურის გარდა, მხარში უდგა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებით აღსავსე, რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფ, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების დახმარების იმედად ღარჩენილ ახლადშექმნილ საქართველოს რესპუბლიკას.

საქართველოს ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი საზოგადო მოღვაწის და დიპლომატის, სეროლივერ უორდროპის მიმოწერა მეუღლის, მარგარეტ კოლეტისადმი უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის მაშინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ.



სამშაბათი. 7 ოქტომბერი. 1919 ადრიანი შუადღე
შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენს ვფიქრობ შენზე და
რამდენჯერ დავხედავ ხოლმე შენს პორტრეტს მუშობის
დროს. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორ ველოდები
დროს, როცა ისევ ერთად ვიქნებით. აქ ისეთი ვითარებაა,
დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არის იმედი,
რომ ნოემბრის ბოლოს. პარიზის კონფერენცია მსოფლიოს
ამ ნაწილთან დაკავშირებულ საკითხებსაც გადაწყვეტს.

„დღეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში.
მოხდა ის, რასაც **33** წელიწადს ველოდი... შენ მე
მელოდები, მაგრამ მე სულაც არ ვნანობ ამ **33**-წლიან
ლოდინს, რადგან რაც ასე გულით გინდა, მისთვის
ყოველთვის ღირს დალოდება.... ვერც კი ვაანალიზებ
ამას, მე მოვიგე ეს ბრძოლა. ამ საქმისთვის ყველაზე მეტი
მე გავაკეთე და აქ ეს ყველამ იცის. ძალიან მინდა აქ, რომ
იყო, ჩემით იამაყებდი იმის დანახვაზე თუ როგორ
აფასებს ყველა შენს ქმარს... ჯანმრთელობა ხელს არ
მიწყობს, ცუდად ვარ, მაგრამ ახლა სულ იმაზე ვფიქრობ,
როგორ შევარიგო კავკასიის ხალხები, როგორ შევაჩერო
ბოლშევიკების სამხრეთისკენ წამოსვლა... ხომ ხედავ,
შენც კი სულ ამ თემაზე გწერ, თავში სულ ეს
მიტრიალებს“.

უორდროჰმა ქართველ დიპლომატთა დახმარება ჯერ კიდევ 1918 წლიდან დაიწყო, როდესაც ზურაბ ავალიშვილს დიდ ბრიტანეთში შესასვლელად და საგარეო სამინისტროში კონტაქტების დასახმარებლად ხელი შეუწყო; თუმცა ახლა უკვე ოფიციალურ რანგში მიეცა მას თავისი მეორე სამშობლოსათვის სამსახურის გაწევის შესაძლებლობა.


ჯონ ოლივერ უორდროჰი დაიბადა 1864 წლის 10 ოქტომბერს აღმოსავლეთ ლონდონში, წარმოშობით შოტლანდიელი თომას უორდროჰისა და მარჯორი სკოტის ოჯახში. ხუთი წლიდან ცხრა წლამდე ის ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა ბებია-ბაბუასთან მიდლოთიანსში (მიდლოტჰიანს,



სამხრეთ შოტლანდია). 1880-1881 წლებში ჯერ პარიზში, შემდეგ დისენში (გერმანია) დადიოდა სკოლაში. შემდეგ ის ბალიოლის კოლეჯში (ოქსფორდი) სწავლობდა, სადაც ცნობილმა დიპლომატმა და ისტორიკოსმა, ლორდმა ბრაისმა გაუჩინა კავკასიისადმი ინტერესი. 1885-1886 წლებში ოლივერი სორბონაში იღებდა განათლებას. 1887 წლიდან უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს, ხოლო შემდეგ პალესტინა, ეგვიპტე, სირია და თურქეთი მოიარა. იმავე წლის აპრილში ის პირველად ესტუმრა საქართველოს, დაწერა და ბრიტანეთში გამოაქვეყნა ზემოთ ხსენებული წიგნი “საქართველოს სამეფო”.



ოლივერმა შეისწავლა ქართული ენა და თავის დასთან, მარჯორისთან ერთად თარგმნიდა ქართული პოეზიის, პროზის, შუა საუკუნეების საკანონმდებლო აქტების კრებულებს; ის ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტასთან, მათ შორის XIX საუკუნეების ქართული ეროვნული იდეოლოგიის ფუძემდებელ, ილია ჭავჭავაძესთან.




აქედან იწყება მისი პოლიტიკური ინტერესიცა და მოღვაწეობაც. 1892 წელს ის გახდა რუსეთში მისი უდიდებულესობის ელჩის პირადი მდივანი; იმისათვის, რომ საქართველოსთან ტერიტორიულად ახლოს ყოფილიყო და მოგზაურობის საშუალება ხშირად ჰქონოდა, ის მუშაობდა ვიცეკონსულად ჯერ ქერჩში, შემდეგ სევასტოპოლში; ჰაიტიზე, რუმინეთში, ნორვეგიასა და მსოფლიოს სხვა ადგილებში მსახურების შემდეგ, 1918 წელს მისი უდიდებულესობის გენერალური კონსულის სახიფათო პოზიცია ეკავა ბოლშევიკურ მოსკოვში.

კვირა. 12 ოქტომბერი.

დიდი ფიქრის შემდეგ ბიბლიიდან რამდენიმე პასაჟი გამოვყავი თანამედროვე პრობლემებთან და განსაკუთრებით ბოლშევიზმთან დაკავშირებით. ალბათ ჩემი დასკვნები შენც დაგაინტერესებს. გადახედე ზაქარიას მეთორმეტე თავს და ნახავ წინასწარმეტყველებას, რომ ებრაელი ერი გახდება: „სიბრუვის თასი, ყველა ხალხისათვის ირგვლივ“, საჯილდაო ქვა, რომლის ყოველი ამწევი წელში გაწყდება“, „ანთებული ქურა ხეთა შორის და ანთებული ჩირადდანი ძნებს შორის, რომელიც შთანთქავს ყველა ხალხს ირგვლივ, მარჯვნივაც და მარცხნივაც“. ბოლშევიკური მოძრაობის უკეთ განმარტება შეუძლებელია. თუმცა იმედიც არსებობს. წინასწარმეტყველი იოველი, მეორე თავში, ლაპარაკობს უფლის არმიაზე, დიდებული და ძლიერი ხალხის გაერთიანებაზე, რომელიც ცუდ ებრაელებს დასჯის. ვბედავ დავუშვა, რომ აქ სწორედ ჩვენ, ბრიტანელები შეიძლება ვიგულისხმებოდეთ.

ჰააგის საერთაშორისო კონფერენციისათვის „ქართველი ხალხის პეტიციის“ შედგენასა და წარდგენაში დაეხმარა.

ოლივერ უორდროპის ქართველი მეგობრები:
 ა) ვარლამ ჩერქეზიშვილი;
 ბ) მოხუცებული ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე;
 გ) ბრიტანეთის უმაღლეს კომისართან მიმდგრებული საქართველოს სამხედრო სამინისტროს მეკავშირე ოფიცერი მამუკა ორბელიანი და მისი მეუღლე, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექტორი ელისაბედ ბაგრატიონ-გრუზინსკი.



ფოტოები ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციიდან.

ოლივერი ახალგაზრდული ასაკიდან ოცნებობდა საქართველოში დიპლომატიური სამსახურის შოვნასა და ცხოვრებაზე. ცარისტული რუსეთის დროს ბრიტანეთს, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ბათუმში ჰქონდა საკონსულო, სადაც ჯერ კიდევ 1890-იანი წლებიდან მუშაობდა პატრიკ სტივენსი. 1894 წელს უორდროპი კონსტანტინეპოლში ჩავიდა ბრიტანეთის ელჩთან გასასაუბრებლად, რათა ამ უკანასკნელს ის საქართველოში გაემწესებინა. გასაუბრების შესახებ ოლივერი თავის დას სწერდა:


“მთელი ჩემი იმედები კვირა სადამოზუა დამყარებული. რაიმე [საკონსულო] პოზიციას რომ მივიღებდე, თუნდაც ყველაზე დაბალს, უსაზღვროდ გახარებული ვიქნები, მაგრამ წინ სირთულეებს ვხედავ.”

გასაუბრებამ უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ ოლივერი კვლავინდებურად სურვილით იყო აღსავსე: **“იმედის დაკარგვას არ ვაპირებ, რომ ერთ დღეს მივიღებ ბათუმში თანამდებობას”**. დამწუხრებული მარჯორი ძმას პასუხობდა: “გულწრფელად იმედი მაქვს, რომ ბატონ სტივენსს (ვფიქრობ, ეს არის ბათუმში კონსულის სახელი) დააწინაურებენ, ეჭვი არაა, იმსახურებს და ვაკანტურად დატოვებს იმ პოსტს, რომელიც ჩვენ გვინდა.”

საქართველოში გამგზავრებამდე, 1919 წლის 5 აგვისტოს, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავალებით უორდროჰმა სამინისტროს წარუდგინა მოქმედების გეგმა. ეს იყო მისი დიდი ფიქრისა და მცდელობის ნაყოფი. დაუღალავი შრომის შედეგი. მის განცდებს, კონკრეტულ ქმედებებსა და პატარ-პატარა გამარჯვებებს მეუღლისადმი გაგზავნილ ემოციურ წერილებშიც ამოვიკითხავთ.

აი, მის მიერ წარდგენილი გეგმა თანდართული ცოცხალი სიტყვებითა და გრძნობებით, გულის მესაიდულისათვის გამჟღავნებული.


1) კავკასიაში ბრიტანული ჯარების დატოვება;



- 2) დენიკინთან პოლიტიკური მისიის მიმაგრება, რომელიც სამხედროებს პოლიტიკურ საკითხებს ჩამოაშორებდა და რუსი გენერლისათვის დახმარების პირობად კავკასიის რესპუბლიკების შიდა საქმეებში ჩაურევლობის დადება;
- 3) კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარება;

"ეს დღე მთელი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეა. ეს წუთია დავბრუნდი პრემიერმინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიღებიდან. მე მათ ვამცნე იმის შესახებ, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა საქათველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე-ფაქტოდ აღიარეს. ასრულდა ის რაზეც ოცდაათი წლის მანძილზე ვოცნებობდი. უკვე ვუგზავნით მოსაწვევებს მთავრობის წევრებსა და მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებს რათა ისინი დაესწრონ ბანკეტს, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებით გაიმართება 14 იანვარს, წმინდა ნინოს დღეს. ჩემი დრომა პირველად ფრიალებს აივნებიდან. რეკავენ ეკლესიის ზარები. მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ ემზადება და ყველა სახელმწიფოებრივი დაწესებულება, ბანკი და ა. შ. დაკეტილია".

- 4) ბათუმის იმ რესპუბლიკისათვის გადაცემა, რომლის მოსახლეობაც უმრავლესობას წარმოადგენდა ბათუმის ოლქში;
- 5) მისი უდიდებულესობის მთავრობის გავლენის გამოყენება, რათა სხვა დიდ სახელმწიფოებსაც ელიარებიანათ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და მიეღოთ ისინი ერთა ლიგაში;
- 6) სავაჭრო ურთიერთობების დამყარება;
- 7) აღნიშნულ რესპუბლიკათა ეკონომიკური, ტექნოლოგიური ექსპერტებით მომარაგება, რათა დახმარებოდნენ მათ ეკონომიკის განვითარებაში;
- 8) ჰუმანიტარული დახმარება;
- 9) ბრიტანული სკოლის გახსნა, საუკეთესო მოსწავლეთა ბრიტანეთში სასწავლებლად გაგზავნა;



10) ბრიტანული პრესის გავრცელება, რათა ადგილობრივებს გაეგოთ, თუ როგორ ხლებოდა ბრიტანეთში ამა თუ იმ პრობლემის განხილვა და გადაჭრა.

ბრიტანეთიდან სამხრეთ კავკასიაში რეგულარულად გაიგზავნოს პრესა, რათა მოსახლეობა გაეცნოს თუ როგორ წყდება სოციალური, პოლიტიკური და საწარმოო პრობლემები ბრიტანეთში; განსაკუთრებული ინტენსივობით გაიგზავნოს ის საგაზეთო მასალა, რომელიც სამხრეთ კავკასიას ეხება, რათა მცდარი აზრის გავრცელების შემთხვევები ლონდონშიც ვიცოდეთ და სასწრაფოდ მოხდეს რეაგირება.

საქართველოში ჩამოსულ უორდროპს 1919 წლის 30 აგვისტოს, ქართველი ხალხი შეხვდა, როგორც მხსნელს. აი რას წერს ამის თაობაზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავად ოლივერ უორდროპი: „...ყველა ჩემი მოძრაობა გადაღებულ იქნა კინემატოგრაფთა მიერ. მე ვიყავი ფოტოგრაფთა სამიზნე. რკინიგზის სადგურში

ორკესტრმა დაუკრა ბრიტანეთის და საქართველოს ეროვნული ჰიმნები. ჩემს გზაზე, დაახლოებით 2 მილის მანძილზე დაკიდებული იყო დროშები, მოფენილი იყო აღმოსავლური ხალიჩები, გარშემო ჩამწკრივებული იყო ხალხი. შენობები ღამით გაანათეს. დღემ ჩაიარა, როგორც სახალხო დღესასწაულმა. ეს არაჩვეულებრივი დახვედრა ქართველებმა მომიწყვეს იმის გამო, რომ იციან, თუ რას ვგრძნობ მათ მიმართ უკვე ბოლო 32 წელიწადია. ”

უორდროპი სწერს კერზონს : ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა მათ მიიღეს იმის ნიშნად, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ყველაზე მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული მათი ქვეყნისადმი და რომ საქართველოსათვის დაიწყოს ახალი ერა.”


ამ შეტყობინებას ლორდმა კერზონმა წააწერა “ძალიან კარგი დასაწყისია”. საპირისპირო რეაქცია ჰქონდა ჩერჩილს. მან 10 სექტემბერს კერზონს მისწერა: “სპირსისგან მივიღე წერილი შენი ქართველი და აზერბაიჯანელი მეგობრების განზრახვათა შესახებ. ვხედავ შენ მათ ბატონი უორდროპი გაუგზავნე, რომელიც საკუთარ თავს ბოლო 27 წლის მანძილზე ქართველებისადმი ემოციებით აღვსილად ახასიათებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები გაბოლმევიკებას აპირებენ, უნდათ დენიკინს შეუტონ და სავარაუდოდ მონაწილეობა მიიღონ სომეხთა წინააღმდეგ შეტევაში, არსებობს დიდი საფრთხე, რომ, ყველა დანარჩენ მოსაზრებათა მიუხედავად, უორდროპი მათ ხაზს გაატარებს დენიკინისადმი პირდაპირი შეტევის საქმეში. ჩვენ კი მისდამი მრავალმხრივი დახმარების გადაწყვეტილება გვაქვს მიღებული. თუ სიფრთხილეს არ გამოვიჩინებთ, იმ შეტაკებათა მოწმენი გავხდებით, სადაც ორივე მხარეს იქნებიან წარმოდგენილი ბრიტანელი ოფიცრები და თითოეული მათგანი თავის მხარეს შეაგულიანებს საბრძოლველად.”

უორდროპი საქართველოდან კვირამი 2-3 რეპორტს აგზავნიდა, რომელშიც დაჟინებით ითხოვდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას, მისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, მან ჩამოსვლისთანავე შეუტია ბრიტანელ სამხედროებს, მოითხოვდა ბათუმის ოლქში მათი მოქმედების შესასწავლად ინსპექციის ჩატარებას, რადგან ადგილზე სუფევდა უწესრიგობა, სამხედრო მმართველობა კი იგნორირებას უკეთებდა მოსახლეობის უმრავლესობის ნებას და სამოქალაქო მმართველობა ფაქტობრივად რუს ჩინოვნიკებს ჩააბარა. ის ასევე მკვეთრად პასუხობდა დენიკინის შტაბთან არსებული ბრიტანული მისიის ბრალდებებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებისადმი. ადგილზე ჩამოსულ ინგლისელ გენერლებს „საზოგადოებრივი წესრიგი~თავისებურად წარმოედგინათ. მაგალითად, მათ ბაქოსა და ბათუმში გენერალ-გუბერნატორების პოსტები დააწესეს და მთელი ადმინისტრაციული ხელისუფლება თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს.

ტფილისი. 14. 11. 19

სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირება ბევრ პრობლემას ქმნის და მუშაობას გვირთულებს. რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ სიტუაციის განსამუხტავად და იმედია, შედეგიც გვექნება, მაგრამ უცხოური ინტრიგების შედეგად გამოწვეული ზოგადი დაძაბულობა ყველგან იგრძნობა. თუმცა „ბოლშევიზმის“ აფეთქებამ, რომელიც ასევე უცხოური ფულით ფინანსდებოდა, ხელი შეუწყო ამ ქვეყანაში ვითარების გარკვევას. ქართველები ძალიან შორს არიან ბოლშევიზმისადმი დადებითი დამოკიდებულებისაგან, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობა ძალიან ეწინააღმდეგება მსგავს იდეოლოგიას.

სწორედ ამ დროიდან დენიკინის საქართველოზე თავდასხმის სერიოზულმა საფრთხემ გადაიარა, რადგან ბრიტანეთის ხელისუფლებამ მას დახმარების პირობად კავკასიაზე თავდაუსხმელობა დაუწესა. ის ფაქტობრივად იქცა გამტარ მავთულად საქართველოსა და ბრიტანეთის ხელისუფლებებს შორის. ქართული მხარის ნებისმიერ წუხილს, თხოვნასა თუ საჩივარს მაშინვე უგზავნიდა საკუთარ მთავრობას სტატუსით „სასწრაფო“ ან „ძალიან სასწრაფო“. მისი წყალობით პირველად გაიგო ბრიტანეთის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის ხმა. უორდროპი ზრუნავდა საქართველოს ხელისუფლებისათვის ექსტრემისტ-სოციალისტთა იარლიყის მოშორებაზე, რაც ესოდენ საზიანოდ მოქმედებდა ქვეყნისათვის. ცოლისათვის მიწერილ პირად წერილში გულახდილად წერდა:



“...ისინი ანცი ბავშვებივით იქცევიან, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან და რადგან მე ნათლიმამას მეძახიან, ვფიქრობ, მათდამი თუ რელიგიური არა, გარკვეული მორალური ვალდებულებები გამაჩნია.”

18.09.1919

პირველ საათზე უკვე პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნაზე ვიყავი. მივედი თუ არა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაციით შემეგება. პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის შესახებ და მეც მომიხსენია. სიტყვის დასრულებას კიდევ ერთი ოვაცია მოჰყვა. რამდენადაც შემეძლო, გულითადად დავუკარი საზოგადოებას თავი, რომ ჩემი მხურვალე მადლიერება გამომეხატა. შემდეგ პარლამენტმა კანონი მიიღო რკინიგზაზე ყაჩაღობისათვის სიკვდილით დასჯის შესახებ და სხდომა დასრულდა. მასპინძლებმა პარლამენტის შენობა დამათვალიერებინეს და გამესაუბრნენ.

ტიფლისი. 5 სექტემბერი. 1919.

უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ევროპულ პრესაში გავრცელებული აზრი, თითქოს ქართველები ბოლშევიკების დასაყრდენს წარმოადგენენ, საფუძველს მოკლებული და მავნებლურია. მართალია, ცხოვრება საკმაოდ ძვირია, მაგრამ ლენინიზმის კვალს მაინც ვერ ვხედავ. თავის მხრივ მთავრობა, რომელიც ძირითადად სოციალ-დემოკრატებითაა დაკომპლექტებული, მკაცრად ახშობს საშიში პროპაგანდის ყოველგვარ მცდელობას და დაუყოვნებლივ აპატიმრებს ყველას, ვინც მსგავს საქმიანობაშია შემჩნეული.

უორდროპი შეებრძოლა გენერალ მილნისა და ბათუმში ბრიტანეთისკონსულის პატრიკ სტივენსის იმ მოსაზრებას, რომ აჭარლები ქართველთა წინააღმდეგ არიან განწყობილნი და არ უნდათ მათთან ერთად ცხოვრება. მას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დიპლომატიური ბრძოლა მხოლოდ ბათუმის ოლქის მიმართულებით არ უწარმოებია. ეკატერინოდარში (დღევანდელი კრასნოდარი) დენიკინის შტაბში მუშაობდა წარმოშობით აფხაზი კაპიტანი ხასაია, რომელიც „აფხაზი ხალხის სახელით“ მემორანდუმებს უგზავნიდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციას და აფხაზთა „საქართველოსგან გათავისუფლებას“ მოითხოვდა. ამ მოთხოვნას გარკვეულწილად ბათუმში ბრიტანეთის კონსული პატრიკ სტივენსიც უჭერდა მხარს. უორდროპმა ცალსახად დაუსაბუთა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ტერიტორია იყო, ხოლო აფხაზი ეთნოსი ქართველთა წიაღში ვითარდებოდა და მაღალ კულტურასაც მათგან ღებულობდა. ყველაფერი კარგად და მშვიდობიანად იქნებოდა, თუ დენიკინი თავს დაანებებდა საქართველოს ასკვნიდა უმაღლესი კომისარი. 1919 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოსული ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ძალების სარდალი, ადმირალი დე რობეკი იხსენებდა, თუ რა სიამაყით უყვებოდა უორდროპი „მის ქართველებზე“, რამაც ადმირალს ამ ხალხზე კარგი შთაბეჭდილება შეუქმნა. იგივე ისტორია განმეორდა უორდროპისა და სამხრეთ რუსეთში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის - სერ ჰალფორდ მაკინდერის შეხვედრისას. მისმა დაულაღავმა მუშაობამ თავისი შედეგი მაინც გამოიღო.

**ტფილისის საზოგადოების შეხვედრა ოლივერ უორდროპთან.
1919 წლის ოქტომბერი.**



1919 წლის 24 დეკემბერს ლორდმა კერზონმა მემორანდუმი წარუდგინა მინისტრთა კაბინეტს სამხრეთ კავკასიის თაობაზე. ეს გახლდათ უმაღლესი კომისრის მოღვაწეობის ერთი უდიდესი გამარჯვებათაგანი. 13 გვერდიან მემორანდუმში, იმ ადგილებში, სადაც საქართველოზეა საუბარი, დაკვირვებული მკითხველი უორდროპის რეპორტებიდან ამონარიდებს ამოიცნობს. ბათუმის ოლქზე ნათქვამია, რომ ის ისტორიული საქართველოს ნაწილი იყო ყოველთვის, თურქეთის მიერ მის დაპყრობამდე. საერთაშორისო დოკუმენტში პირველად გაჩნდა 1801 წელს რუსეთის მოქმედების ანექსიად შეფასების ფაქტი. აქვე აღინიშნა ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა პრეპრისტორიული ხანიდან მოყოლებული, ქართველთა როლი ჯვაროსნულ მოძრაობაში. 1907 წელს ჰააგის კონფერენციისადმი ქართველთა პეტიციის წარდგენა (რომელშიც უორდროპმა ლომის წვლილი შეიტანა) და ა.შ. მიმდინარე ვითარებაზე საუბრისას კერზონი აღნიშნავს, რომ როგორც უკანასკნელმა რეპორტებმა აჩვენეს, საქართველოს ჰყავდა რეგიონში ყველაზე გამოცდილი მთავრობა. ისინი იყვნენ თავიანთ მეზობლებზე უფრო ცივილიზებული და ევროპული ფესვების მატარებელნი. მათ ჩააქრეს ბოლშევიკთა ყველანაირი აჯანყება და გაუმკლავდნენ ბათუმის ბრიტანული ადმინისტრაციის საფარქვეშ მოქმედ დენიკინელთა პროპაგანდას.

20 ოქტომბერი. 1919 წელი

აქ არც ისე ბევრი ბოლშევიკია; სადაც წააწყდებიან, იქვე იჭერენ, მაგრამ თავიანთი საწინააღმდეგო აზრის გამოხატვას ისინი მაინც ახერხებენ. მაბედნიერებს ის შეგრძნება რომ მე ახლა სასარგებლო საქმეს ვაკეთებ და მაქვს სამუშაო, რომელ ყველაზე მნიშვნელოვანია მათ შორის, რაც კი ოდესმე მქონია...


როგორც ვხედავთ, უორდროპმა 4 თვიანი მუშაობის შედეგად ვითარება, საქართველოს იმიჯი კარდინალურად შეცვალა. 1919 წლის დეკემბრისათვის საქართველოს ხელისუფლება იწოდებოდა გამოცდილად, ბათუმი _ საქართველოს ისტორიულ ნაწილად, ქართველი ხალხი _ ცივილიზებულად. უორდროპი გამარჯვებას ზეიმობდა. სწორედ მან ახარა პირველმა საქართველოს მთავრობას აღიარების ამბავი. 13 იანვარს ის ლონდონს აცნობებდა: “აღიარებამ თბილისში დიდი პატრიოტული დემონსტრაციები გამოიწვია. ინფორმაციის გამოცხადებიდან ერთ საათში ქალაქი დროშებით იყო მოფენილი, მანქანების მოძრაობა შეჩერდა, მაღაზიები და ქარხნები დაიხურა. თუ რაიმე ძალიან გინდა, შეიძლება დიდი ხნით მოცდა დაგჭირდეს, მაგრამ შენ მას მაინც მიიღებ და მე არ ვნანობ, რომ გუშინდელ დღეს 33 წელი ვუცდიდი.” უორდროპმა როგორც მთავრობის, ისე ქალთა საზოგადოების ემოციებიც დაიმსახურა. ის მეუღლეს სწერდა:

“არ იეჭვიანო, მაგრამ უნდა ვითხრა – დღეს ქალბატონებმა გამიმხილეს, რომ მათ ყოველთვის მოეწონდი, თუმცა მას შემდეგ, რაც მე ამ კვირაში საქართველოსთვის გავაკეთე, ისინი მალმერთებენ... მინისტრებმა დამარწმუნეს, რომ საკმარისია მე მათ რაიმე ვთხოვო და ისინი აუცილებლად გააკეთებენ. ეს მისია წარმატებულად წარვმართე და ჩემს ცხოვრებაში ტრიუმფის დროა, რომელსაც ბოლომდე ვერანაირი სამომავლო წარუმატებლობა ვერ დაანგრევს.”


მართლაც ფაქტი იყო, რომ მან ყველაზე მეტი გააკეთა. მან მოიგო ეს ბრძოლა. ოჯახს მოწყვეტილი მაინც საქართველოს მომავალზე ფიქრობდა. თუმცა ის ყველაფერს ქართველებისგან ფარულად აკეთებდა, არავინ იცოდა მისი ნოტების შინაარსი. ლონდონში გაგზავნილი ემოციური შეტყობინებების ფონზე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრების დროს მას თავი დიპლომატიურად უჭირა და არ აგრძნობინებდა თავის პირად დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, ქართულ გაზეთებში გამოჩნდა მისთვის ხოტბის შემსხმელი წერილები, რაზეც მან ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა და მსგავსი წერილების აკრძალვა მოსთხოვა, რადგან მას შეექმნებოდა ტენდენციური, პროქართული იმიჯი, რაც საქმისათვის წარმატების მომტანი არ იქნებოდა. ამის მიუხედავად, ქართველი ხალხი მიხვდა მის ჭეშმარიტ დამსახურებას. ბრიტანელ კომისარს მადლიერება საქართველოში ყოფნის პერიოდში და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ არ მოჰკლებია. 1920 წლის 10 იანვრის შემდგომ დღეებში მას ყველა კუთხიდან მოსდიოდა ქართულ ენაზე, უბრალო ქართველების მიერ დაწერილი სამადლობელი წერილები შემდეგი სათაურებით: „ძმავ ოლივერ!“, „ბატონო ოლივერ“, „მოგესალმებით არა როგორც ბრიტანელს, არამედ როგორც საქართველოს შვილს!“ და ა.შ.

თუმცა ბოლშევიკური საფრთხე ახლოვდებოდა...

ტფილისი, 6 თებერვალი, 1920
შენ უნდა იცოდე, რომ მე შეუძლებელი შევძელი, მოვახერხე ის, რასაც სხვა ვერავინ გააკეთებდა. მე აქ დავიმკვიდრე სახელი, საპატიო სახელი, რომელიც დარჩება, რაც არ უნდა მოხდეს.



ქართული მწერლის - დომინიკა ერისთავის 1920 წლის 27 იანვრით დათარიღებული სამადლობელი წერილი ოლივერ უორდროკს, სადაც წერია: „თუ წმინდა ნინომ საქართველოს მოჰფინა მცნება ქრისტესი, თქვენ მკვდრეთით აღადგინეთ ეს საქართველო...“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, აკაკი ჩხენკელის მიერ ოლივერ უორდროკისთვის 1918 წლის 18 ნოემბერს ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „მაქვს სრული იმედი, კვლავაც მხურვალეთ მოეკიდებით მრავალ-წამებულ საქართველოს სვე-ბედს... ბევრია დამოკიდებული თქვენს სამშობლოსგან - დიდი ბრიტანიისგან. მე დარწმუნებული ვარ, საქართველოს დამოუკიდებლობა სრულიად ეთანხმება დიდი ბრიტანიის პოლიტიკურ ინტერესებს და ამიტომ იმედი გვაქვს, ეს უკანასკნელი მხარს დაგვიჭერს. თქვენ კი, ვიძეორობ, ბატონო უორდროკ, ყველა ჩვენი პოლიტიკურ წრეების რწმენით, მხარს დაგვიჭერთ ამ წმინდა საქმეში, რასაც არ დაგვიწყებთ თავისუფალი საქართველო.“

18. 9. 19.

ბოლო ხანებში, ზედიზედ სამი დღეა, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა მატარებლების მარცვას მიჰყვეს ხელი. არსებობს ეჭვი, რომ ისინი საზღვარგარეთ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებენ. მთავარი მიზანი საქართველოს უსუსურ ქვეყნად წარმოჩენაა, ქვეყნად, რომელსაც ინგლისელების წასვლის შემდეგ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება არ შეუძლია. თუმცა მთავრობამ უკვე გადადგა ქმედითი ნაბიჯები – დაკავებულია 800 ბოლშევიკი, ძირითადად, უცხოელები.

1920 წლის თებერვალში, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ისარგებლა რა ლორდ კერზონის შვებულებაში ყოფნით, გადაწყვეტილება მიიღო ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის თაობაზე, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა მტერთან ქვეყნის პირისპირ შეტოვებას.

თუ შესაძლებელია, მისი უდიდებულესობის მთავრობამ გადახედოს სამხრეთ კავკასიიდან ჩვენი ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილებას. თუკი ეს ვერ მოხერხდება, შეძლებისდაგვარად შენუდეს სამხედროთა გასვლის პროცესი, რამდენადაც ამის საშუალებას ჯარის უსაფრთხოების დაცვა მოგვცემს. უკიდურეს შემთხვევაში, განვაგრძოთ ბათუმის დაცვა, სანამ მისი მომავალი ჩვენდა სასურველად არ გადაწყდება.

უორდროპი მიხვდა, რომ თუ ბრიტანული ჯარები საქართველოს დატოვებდნენ, გარდუვალი გახდებოდა ქვეყნის ბოლშევიკური ოკუპაცია, რომელსაც თვითონ ვეღარ შეაჩერებდა და ამის თავიდან ასაცილებლად საკუთარი კარიერა რისკის ქვეშ დააყენა.

საკუთარი მთავრობითა და ზოგადად პოლიტიკოსებით იმედგაცრუებას ვერ მალავდა ცოლისადმი მიწერილ პირად წერილში: „შენ ალბათ გაიგე, რომ დენიკინის საქმეები ცუდად მიდის. აშკარაა, რომ მისი საქმე წასულია და, რაც ძველი რუსეთისგან დარჩა, ბოლშევიკები ყველაფერს დაიკავენ, გარდა, სამხრეთ კავკასიისა. მათი სამხრეთ კავკასიის მიღმა დატოვება შესაძლებელია, თუ მოკავშირეები და განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, გონივრულად მოიქცევიან; მაგრამ როგორც იცი, მე მთავრობათა გონიერების არ მწამს. არა მგონია, ლოიდ ჯორჯმა იცოდეს, სად არის კავკასია...“



26 თებერვალი. 1920

ჩვენი ჯარი ბათუმში რჩება. ეს ჩემი კიდევ ერთი წარმატებაა. რომ არა ჩემი კატეგორიული პროტესტი, აუცილებლად გაიყვანდნენ მთელ შემადგენლობას და სავალალო შედეგს მივიღებდით. თუმცა ეს საიდუმლო ინფორმაციაა და ნურავის ეტყვი.

წერილები 7 მარტი 1920

ამ ეტაპზე სამსახურში სერიოზული პრობლემები მაქვს. ნეტავ იცოდეთ, რა დამაბულობაა! დასვენება ისე მჭირდება, როგორც არასდროს, მაგრამ ახლა სამუშაოს მიტოვება წარმოუდგენელი რამაა, ყოველ შემთხვევაში, სტოქსის დაბრუნებამდე მაინც. დღეისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მიმიწვიეს, მაგრამ უარის თქმა მომიხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აღნიშვნას და თან, მიწისძვრით დაზარალებულთათვის თანხის შეგროვებას აპირებენ. ორგანიზატორი პირადად მოვიდა ცოლთან ერთად და მიმიპატიჟა, მაგრამ იძულებული ვიყავი უარი მეთქვა. მათ განზრახული აქვთ, საზოგადოებას ამცნონ პრეზიდენტის და ჩემი სახელობის ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც ახალგაზრდების ინგლისში სწავლას დააფინანსებს. საწყის ეტაპზე, ფონდში 1000 ფუნტს ჩადებენ. ორგანიზატორი გვარად ბერიძეა. ის ბრიტანული სავაჭრო კომპანია "კოსმოსის" ადგილობრივი მენეჯერია.

ტფილისი. კვირა საღამო. 7 მარტი. 1920

დღეისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მიმიწვიეს, მაგრამ უარის თქმა მომიხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აღნიშვნას და თან, მიწისძვრით დაზარალებულთათვის თანხის შეგროვებას აპირებენ. ორგანიზატორი პირადად მოვიდა ცოლთან ერთად და მიმიპატიჟა, მაგრამ იძულებული ვიყავი უარი მეთქვა. მათ განზრახული აქვთ, საზოგადოებას ამცნონ პრეზიდენტის და ჩემი სახელობის ფონდის შექმნის შესახებ, რომელიც ახალგაზრდების ინგლისში სწავლას დააფინანსებს. საწყის ეტაპზე, ფონდში 1000 ფუნტს ჩადებენ. ორგანიზატორი გვარად ბერიძეა. ის ბრიტანული სავაჭრო კომპანია "კოსმოსის" ადგილობრივი მენეჯერია.

ლორდმა კერზონმა ყველაფერი იცის მის შესახებ და იმედი მაქვს, რომ მისი გავლენა დაჩრდილავს მის კოლეგებს, განსაკუთრებით ჩერჩილს." ლორდმა კერზონმა შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ მოახერხა გადაწყვეტილების შეჩერება და კომისარს მისწერა წერილი, სადაც მას სრულ ნდობას უცხადებდა. სამწუხაროდ, კლიმატურ პირობებთან შეუთავსებლობის გამო ის მძიმედ დაავადდა. ცოლს ყოველდღიურად სწერდა მისი ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის შესახებ.

ორშაბათი.

15. 3. 20.

დღეს საწოლში ყოფნის ფუფუნება მერგო. ექიმ დამბაშიძის რჩევებს ყური ვუგდე. დასვენებისთვის უკეთეს დღეს ალბათ ვერც შევარჩევდი ცივი, წვიმიანი და უქმური ამინდია. რამდენიმე შემაწუხებელი შეხვედრაც გამოვტოვე და ესეც დიდი საქმა.



ქართველმა ექიმებმა მას სიმსივნური გამონაზარდიც აღმოუჩინეს და ექიმმა მაჭავარიანმა ოპერაციაც ჩაუტარა.

4 აპრილი 1920

როგორც მოგწერე, გადავწყვიტე, ერთი კვირა საწოლში გამეტარებინა და ფეხზე ადგომისთვის თავი ამერიდებინა. გარდა ამისა, მარცხენა მხარზე გაჩენილ სიმსივნურ გამონაზარდთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა. მითხრეს, რომ ჯობდა, ამომეჭრა, რადგან ათი წლის განმავლობაში ყურადღებას არ ვაქცევდი და სავარაუდოდ, მომავალში გამირთულდებოდა. ამიტომ წინა ოთხშაბათს ქირურგმა მაჭავარიანმა მცირე ოპერაცია ჩამიტარა.

იგი იძულებული გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადადგომის თაობაზე განცხადებით მიემართა. სამინისტრო კარგა ხანს ყოყმანობდა, არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნას, რადგან მისი სათანადოდ შეცვლა არ იყო იოლი საქმე. ოლივერი ცოლს სწერდა, რომ 1920 წლის 30 მარტიდან 16 აპრილამდე სახლიდან ერთხელაც ვერ მოახერხა გასვლა, ლოგინს იყო მიჯაჭვული, საქმეს ვეღარ აკეთებდა და ამ უმოქმედობით უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. მას სურდა სამშობლოში დაბრუნება, მკურნალობა და გამოჯანმრთელების შემდეგ სამუშაოდ საფრანგეთში გადასვლა, რათა იქ, საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში ეკეთებინა საქმე.

მარტი 1920.

ვინმემ ჩემი მოვალეობა უნდა შეასრულოს. მე სტოქსის კანდიდატურას ვთვავ. თუ ვინმე სხვას გამოუშვებენ, მინდა, რომ ჩემი გამომგზავრების დროისთვის, სტოქსი უკვე ბაქოში იყოს.

ამ დროისათვის მას უკვე მოპოვებული ჰქონდა საქართველოს აღიარება, ბრიტანული ჯარებიც რჩებოდნენ ბათუმში, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორისაც მეტ-ნაკლები მშვიდობა სუფევდა. 8 თვიანი დაუღალავი შრომის შედეგად მან შეუძლებელი შეძლო. ფაქტობრივად მისი დიდი ნაწილი შესრულებული ჰქონდა.

6 თებერვალი. 1920

შენ უნდა იცოდე, რომ მე შეუძლებელი შევძელი. მოვახერხე ის, რასაც სხვა ვერავინ გააკეთებდა. მე აქ დავიმკვიდრე სახელი, საპატიო სახელი, რომელიც დარჩება, რაც არ უნდა მოხდეს.

აპრილის ბოლოს ოლივერ უორდროპმა საბოლოოდ დატოვა საქართველო. მის გეგმას იმის თაობაზე, რომ უკვე საფრანგეთიდან გაეწია დახმარება საქართველოსათვის დამოუკიდებლობის გამყარებაში, აღსრულება არ ეწერა, რადგან მის გამოჯანმრთელებას და სამსახურში დაბრუნებას 1 წელი დასჭირდა. ამ დროს კი საქართველო უკვე ოკუპირებული იყო. მისი ღვაწლი ჯეროვნად იქნა დაფასებული. 1922 წელს მეფემ ის ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდებით



დააჯილდოვა და იწოდებოდა სერ ოლივერ უორდროპად. დიპლომატიური კარიერის ბოლო წლები (1921-1927) მან სტრასბურგში გაატარა გენერალური კონსულის თანამდებობაზე. ამის შემდეგაც ბრიტანეთში მოხვედრილი ნებისმიერი ნაცნობი ქართველი მისი დახმარებით საქმიანობდა. იგი, მის მიერვე დაფუძნებული მარჯორი უორდროპის ფონდის დახმარებით, აძლიერებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებებს ბრიტანეთში.

“გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება და შეიქმნას ინგლისური სტილის საჯარო სკოლები, სადაც კლასიკურ და თანამედროვე საგნებს, მეცნიერებასა და ფიზკულტურას ასწავლიან. ხელი შეეწყოს სიფრთხილით შერჩეულ, ორივე სქესის მოსწავლეებს, რათა სწავლა განაგრძონ ბრიტანულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლებში, რომ, ზოგადად, სამხრეთ კავკასიელები უზიარონ ინგლისურ კულტურას. ყველაზე დიდ მნიშვნელობას იმას ვანიჭებ, რომ ჩვენი პოპულარიზაცია მოხდეს. პირადად მე, მარჯორი უორდროპის ფონდის საშუალებით (რომლის ბიუჯეტიც ამჟამად 3500 ფუნტს შეადგენს), შემოიძლია, დაუყოვნებლივ უზრუნველყო ოქსფორდში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ლექციების ჩატარება. “

ოლივერი გარდაიცვალა 1948 წლის 19 ოქტომბერს 84 წლის ასაკში. დაკრძალულია ლონდონთან ახლოს, სევენოუქსის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე მარჯორი უორდროპთან და მეუღლესთან ერთად.

როგორც უკვე ვახსენთ, ოლივერი თავის საქმის გამგრძობლად პოლკოვნიკ სტოქსს მოიაზრებდა, ის ხშირად საუბროს სტოქსზე პირად წერილებში და აღნიშნავს, რომ ბედნიერია მასთან თანამშრომლობით, უორდროპის თქმით, სტოქსი პირველი კლასის ბრიტანელია და ზედმიწევნით კარგად ასრულებს თავის საქმეს.



სტოქსის დახული არქივი მაჩაბლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში აღმოჩნდა. (1917 წელს როცა სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ცოცხლები აღარ იყვნენ, სახლი ცნობილმა ქართველმა მეწარმემ აკაკი ხომტარიამ იყიდა.) ეს სახლი თბილისში მოღვაწეობის დროს ჯერ უორდროპს, ხოლო შემდეგ სტოქსს ეკუთვნოდა. სტოქსი ბოლომდე ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების გეგმებს კავკასიაში, იგი იყო უკანასკნელი ინგლისელი, რომელმაც 1922 წელს ეს რეგიონი დატოვა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა პირადად გადაუხადა მას მადლობა. სტოქსის პირადი არქივი ყველაზე მეტ ინფორმაციას იძლევა მისი საქმიანობის შესახებ და ის დიდი ბრიტანეთის საიმპერიო სამხედრო მუზეუმში ინახება. არქივი 2347 დოკუმენტს მოიცავს, მათი ძირითადი ნაწილი სტოქსის კავკასიაში მოღვაწეობას ეკუთვნის.

ექვსი მუყაოს ყუთიდან საქართველოს შესახებ ინფორმაცია მესამე და მეოთხე ყუთებშია მოთავსებული: ხელნაწერები,



მემუარები ოფიციალური და პირადი წერილები, ზღვა მასალაა, რომელიც დეტალურად აღწერს მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლისისა და საქართველოს ურთიერთობას. პირველი წერილი 1921 წლის 21 თებერვლით არის დათარიღებული. ამ წერილებს სტოქსი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უგზავნიდა. უკანასკნელი 19 მარტით თარიღდება. სტოქსი ყოველდღე სწერდა სამინისტროს წითელი ოკუპაციის მიმდინარეობას. სავარაუდოდ კომისარმა თბილისი მე-11 არმიის შემოსვლამდე დატოვა და ბრიტანეთში ცნობებს უკვე ბათუმიდან აგზავნიდა. წერილებში ხსენებულია აკაკი ხომტარიაც, ჩვენთვის საინტერესო სახლის პატრონი.

ხომტარიას ანტონ დენიკინის ემისრები ავიწროვებდნენ. პოლკოვნიკი ინახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას, ქართული ეროვნული ჰიმნის სანოტო ფურცლებს „დიდება“ და სატირულ გაზეთს ეშმაკის მათრახი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. (1920 წლის 21 მარტის ნომერი, პირველ გვერდზე ოლივერ უორდროპის კარიკატურით „ჩვენი ორფეოსი“) აქ არის უორდროპის პირადი წერილიც, რომელშიც ატყობინებს მშობლების გარდაცვალებას. არქივში საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთელი ისტორიაა. ეს არის ბრიტანელი პოლკოვნიკის მიერ მიუკერძოებლად შეულამაზებლად მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის ხანმოკლე დამოუკიდებლობის ამბავი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია დოკუმენტები, სადაც მთელი სიცხადით ჩანს დამარცხებული და ყველასგან მიტოვებული საქართველოს მდგომარეობა, უკან დახეული ჯარი, დაცლილი თბილისი, მოშლილი მთავრობა, ქაოსი ნავსადგურში, ქაოსი რკინიგზაზე. წერია, როგორ ეშაადებიან ქვეყნიდან გასასვლელად საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრები, ოფიცრების და მთავარაზნაურების მნიშვნელოვანი ნაწილი.



სახლი სარაჯიშვილის ქუჩაზე

დიპლომატიური მისიის თანამშრომლები ემიგრაციაში გასატანად ამზადებენ კულტურულ საგანძურს. სტოქსის არქივი საბრძოლო მოქმედების ამსახველ უამრავ მოხსენებით ბარათს ინახავს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ბრიტანულ მსუბუქ კრეისერს სახელად „კარადოკს“, კონსტანტილოპოლში ბრიტანული კოლონიის წევრები და დევნილები მიჰყავდა, სიაში 44 გვარია, სავრაუდოდ, ისინი ბათუმიდან გადიოდნენ. ამ დოკუმენტის მიხედვით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანული საზღვაო ძალები საქართველოდან ევაკუაციის ოპერაციას ახორციელებდნენ, სიაში უმეტესობა სლავური გვარია, ძირითადად აგენტები (მნიშვნელოვანი ფიგურა გენერალი პოსტოვსკი , „შემლილი მოლა“). პოსტოვსკი სიაში პირველი იყო. მიზეზად კი სტოქსს ეწერა „მუშაობს ბრიტანეთზე“. სტოქსის პოლიტიკური მოღვაწეობა, მისი სანაცნობო წრე არეალი ფართო იყო.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1917 წლის დასაწყისში არმიაში ახალი დაავადება გაჩნდა, რომელსაც მემარცხენე ორიენტაციის აგიტატორები ავრცელებდნენ, სოციალიზმის ვირუსმა მოიცვა ჯარი. ჯარისკაცები ნებისმიერ გამოსვლას მთავრობის წინააღმდეგ ტაშით ხვდებოდნენ. მეომრები პოზიციებს ტოვებდნენ და ომის დასრულებას მოითხოვდნენ. დეზერტირები იმატებდნენ და რუსულ ფრონტს დაშლის რეალური საფრთხე დაემუქრა. როგორც სტოქსი ვარაუდობდა, თუ კავკასიის ფრონტი მოირღვეოდა, ბრიტანელებს ახლო აღმოსავლეთის შენარჩუნება გაუჭირდებოდათ. დიდი ალბათობით გერმანულ-თურქული კოალიცია მთელ კავკასიას დაიკავებდა, მათ ხელში სავაჭრო გზები აღმოჩნდებოდა, რაც ბრიტანეთის ეკონომიკაზე ცუდად აისახებოდა. თურქთა შესაჩერებლად ბრიტანეთმა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სამხედროებისგან ნაციონალური შენაერთების შექმნა გადაწყვიტეს, მათი აზრით, კავკასიელები სამშობლოს დასაცავად მუსლიმთა ბატონობისგან ყველაფერს გააკეთებდნენ. კავკასიაში გასაგზანად დაახლოებით 500-მდე ჯარისკაცს მოუყარეს თავი. მისიას გენერალი დანსტერვილი ხელმძღვანელობდა, მისიის მიზანი კავკასიის ფრონტის აღდგენა და თურქთა შეჩერება იყო. 1917 წლის დასაწყისში გაზეთებიდან ვიგებთ, თუ როგორ უარესდება დღითი დღე საქართველოს მდგომარეობა. ამას ადასტურებს წერილი კახეთიდან, სოფელი დაემსგავსა იმ მომაკვდავს, რომელიც არც ცოცხლობს და არც კვდება, მის ჭირისუფალს კი გადარჩენა არ შეუძლია, ყველგან იგივე მდგომარეობაა. ქართველი ჯარისკაცები მიწას მოსწყდნენ და ომში წავიდნენ. გაიზარდა ქურდობა, რეგულარული ჯარისგან და დეზერტირებისგან, პოლიცია მათ დაპატიმრებას ვეღარ აუღის, ხალხს პური აღარ ყოფნის და ბოლოს მთავრობამ გამოსცა კანონი, რომელიც საკონდიტროებს ტკბილეულის გამოფენას უკრძალავდა, რადგან მაღალფასიანი პროდუქტი ხალხის გაღიზიანებას იწვევდა. ამ რთულ სიტუაციაში საქართველოსთვის კი ორი გზა იყო დარჩენილი: ან დამოუკიდებლობა ან რუსეთის მმართველობის ლოდინი. ქართველმა პოლიტიკოსებმა ლოდინი არჩიეს, ამიტომ დროებით ამიერკავკასიის სეიმი დაფუძნდა.

სტოქსის არქივებში აღმოჩენილი საფოსტო მარკიდან ირკვევა, რომ მუდრუსის საზავო ხელშეკრულებაში ბათუმისა და ბაქოს საკითხი ცალკე პუნქტად შევიდა და


ორივე ქალაქი ბრიტანლთა უშუალო გავლენის სფეროდ გამოცხადდა. ერთ-ერთი პირველი ბრძანებით ბათუმში დრო შეიცვალა და ქალაქი ბრიტანული ფლოტის დროზე გადავიდა, ქალაქის ყველა საათი 50 წუთით წინ გადაწიეს. ახალი დროით ნაშუადღევს დადგომისას, ბრიტანელები ქვემეხიდან გასროლით ამცნობდნენ მოსახლეობას. აკრძალული იყო ნასვამ მდგომარეობაში ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა, კამათის წამოწყება, იარაღის გამოყენება, ავტომობილით და ეტლით მგზავრობა სამგზავრო წესების საწინააღმდეგოდ. ბრიტანელთა მთავარი შტაბი რუსთაველზე მდებარეობდა. კავკასიაში არსებულ მდგომარეობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად თებერვლის მიწურულს ლონდონში გაემგზავრა ბაქოში ინგლისური დაზვერვის ხელმძღვანელი-პოლკოვნიკი სტოქსი.

1919 წელს სტოქსიც ეწვია საქართველოსაც, მაგრამ არა დიდი ხნით. მის წერილებში კარგად ვხედავთ სტოქსის დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ. ის ამბობდა რომ ქართველები სულელურად იქცევიან და იტალიას ნამდვილად შეექმნებოდა პრობლემები ამ ხალხთან, თუმცა რატომ ფიქრობდა სტოქსი ასე ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. ცოტა ხნის შემდეგ ინგლისის მთავრობამ საქართველოს საქმეს სათავეში ოლივერ უორდროპი ჩაუყენა, რომელიც განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავდა ქართველი ხალხის მიმართ და პირიქით, ქართველი ხალხიც დიდი სიყვარულით შეხვდა მის საქართველოში ჩამოსვლას. საქართველოში ყოფნისას ოლივერი თავის ცოლს მუდამ სწერდა და უზიარებდა თავის აზრებს, ასევე სტოქსთან შეხვედრის ამბებსაც.

21. 11. 19. საღამოს 7 საათი.

სადილმა მშვენივრად ჩაიარა. მარჯვნივ უსუბეკოვი მეჯდა, მარცხნივ ხატისიანი, პირისპირ - პოლკოვნიკი რეა, მისგან მარჯვნივ ისხდნენ - გეგეჭკორი, ღამბაშიძე, პაპაჯანიანი, გაჯინსკი (აზერბაიჯანის ვაჭრობის მინისტრი), პოლკოვნიკი სტოქსი, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები საქართველოში. სულ თოთხმეტნი ვიყავით ბედნიერი ვარ, რომ პრემიერ-მინისტრებს შორის დიალოგი სწორედ იმ მიმართულებით მიდის, რომლითაც მე ვისურვებდი.

ოლივერი ამბობს, რომ სტოქსი სასიამოვნო პიროვნება იყო და სიამოვნებით იმუშავებდა მასთან ერთად. როცა დენიკინი გააქტიურდა და მოვლენები ბოლშევიკების სასარგებლოდ განვითარდა, ორივე ბრიტანელი ცდილობდა, რომ ბრიტანეთს დახმარება გაეწია ამიერკავკასიისათვის. სულ მალე უინსტონ ჩერჩილიც მიხვდა, რომ თეთრები ვერ ამარცხებდნენ ბოლშევიკებს. სტოქსი და ოლივერი ითხოვდნენ ამიერკავკასიების სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებას და ეს ასეც მოხდა.



ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს, ცუდად ვარ, მაგრამ ახლა სულ იმაზე ვფიქრობ, როგორ შევარიგო კავკასიის ხალხები, როგორ შევაჩერო ბოლშევიკების სამხრეთისკენ წამოსვლა... ხომ ხედავ, შენც კი სულ ამ თემაზე გწერ, თავში სულ ეს მიტრიალებს".

ანტანტამ ამიერკავკასიის ქვეყნებს საჭირო დახმარება გამოუყო, მაგრამ ბრიტანეთმა ამაზე უარი განაცხადა. მათ გადაწყვიტეს მხოლოდ სამხედრო შეიარაღებით უზრუნველყოთ ეს სახელმწიფოები და არა ჯარით, ხოლო ამას კი სათავეში ჩაუყენეს ჰენრი უილსონი, რომელიც ფაქტობრივად არ აღიარებდა ჩვენს დამოუკიდებლობას.

სულ მალე ბრიტანეთმა უკან დაიხია. საქართველოში მომხდარმა მიწისძვრამ დაანგრია გორი და სხვა ქალაქები თუ სოფლები, დაიღუპა და დაშავდა უამრავი ადამიანი, დაინგრა შენობები, უსახლკაროდ დარჩა ბევრი ადამიანი. უორდროპი ავად გახდა და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ბრიტანეთში, ხოლო თავის ადგილზე კი დატოვა სტოქსი. ისიც იძულებული გახდა წასულიყო ბრიტანეთში მშობლების გამო და როდესაც მან დატოვა კავკასია, ბოლშევიკებმა აიღეს ბაქო, ხოლო საქართველოში შემოჭრა უკვე დროის საკითხი იყო.

1920 წლის ივნისი ქართველები აღნიშნავდნენ ბათუმის საქართველოს საზღვრებში დაბრუნებას. ამ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა სტოქსი. ამის შემდეგ ის ისევ ლონდონში დაბრუნდა, მაგრამ სტოქსი თავის მოვალეობას სექტემბრიდან კვლავ შეასრულებდა.

როცა სტოქსი დაბრუნდა თბილისში, მას უორდროპით დიდი ზეიმით დახვდნენ, ისევ ყვავილები და ისევ იმედები. სტოქსი ქართველებისთვის უორდროპის მისიის დამამთავრებელი იყო და ახლა უკვე ბრიტანული მისიის რეზიდენცია სტოქსს გადაეცა. მასთან დაკავშირებით გაზეთებში თითქმის არაფერი იბეჭდებოდა და თუ იბეჭდებოდა, იყო მშრალი. ის სიტყვაძუნწი პოლკოვნიკი იყო, როგორც ჩანს. მის შესახებ არის მცირე ფრანგმენტები, მაგრამ არც ისე სიღრმისეული.

მასთან დაკავშირებით ამბობდნენ, რომ რუსეთი არ უყვარდა და სტოქსის ცნობილი ფრაზა იყო: „ჩვენ ბრიტანელები სულელები ვართ. უნდა ვისარგებლოთ ხელსაყრელი ვითარებით და კავკასიიდან რუსები გავაძევოთ“.

1921 წლის 6 თებერვალი. ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურედ აღიარების საზეიმო კადრებში ჩანს პოლკოვნიკი სტოქსი. ტრიბუნაზე მთავრობის წევრები და დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენლები არიან, სტოქსი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გვერდით დგას.

კავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სტოქსიმ წინასწარ იცოდა, რომ რეგიონი განწირული იყო, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა და მოხსენებით ბარათებს ლონდონში ყოველდღიურად გზავნიდა. 1920 წლის 6 დეკემბერს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს ვრცელი ბარათი მისწერა და ქართველების მხარდაჭერა სთხოვა, მაგრამ კერზონის დიპლომატიურმა უარმა საქართველოს ყველა იმედი დაასამარა. საქართველო არც ერთა ლიგაში მიიღეს.

1921 წლის 20 თებერვლით დათარიღებულ წერილში სტოქსი დიპლომატიური მისიის ევაკუაციაზე წერს. ფრონტიდან მოსული საგანგაშო ცნობების გამო დიპლომატიურმა მისიამ თბილისის დატოვების სამზადისი 17 თებერვალს დაიწყო. სტოქსმა გაანადგურა ყველა კორესპონდენცია და შიფრები, დაწვა საარქივო მასალები. მათი ნაწილი მწერალთა სახლის სხვენში სავენტილაციო მილის უკან დახეულ მდგომარეობაში, სახლის რესტავრაციის დროს მუშებმა იპოვეს.

სტოქსის არქივში დაწვრილებითაა აღწერილი თბილისის დატოვებაც, მან დიპლომატიური მისიის ნაწილი ბათუმში დილის მატარებლით გაუშვა, თვითონ კი მეორე მატარებლით გაემგზავრა დარჩენილ თანამშრომლებთან ერთად. თბილისი ყველა უცხოურმა მისიამ დატოვა.


ბათუმიდან ბრიტანული მისიის პირველი ნაწილი კონსტანტინოპოლში 28 თებერვალს ბრიტანული საზღვაო ჯარის ხომალდით „კოლაფსოთი“ გაემგზავრა, მეორე ნაწილი კი, როგორც უკვე ვახსენეთ, კრეისერ „კორადოკით“. დარჩენილი წევრები კი 2 და 9 მარტს ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. ბათუმში მხოლოდ პოლკოვნიკი სტოქსი და რამდენიმე თანამშრომელი დარჩა, ის ბათუმიდან 19 მარტს გაემგზავრა, მაშინ, როცა საქართველოში თვით საქართველოს მთავრობის წევრებიც კი არ იმყოფებოდნენ.

საქართველოდან ევაკუაციის შემდეგ სტოქსის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობებია შემორჩენილი. 1931-35 წლებში ის საფრანგეთში, ქალაქ ნანტში მუშაობდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლად, შემდეგ პენსიაზე იყო და მემუარებს წერდა. ის 1948 წლის დეკემბერში გულის შეტევით გარდაიცვალა.

ცენტრალური აზიის სამეფო საზოგადოების ჟურნალის 1959 წლის დეკემბრის ნაკრებში იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერიის, პოლკოვნიკი სტოქსი „ ის

იყო გამორჩეული ფიგურა. როდესაც საქმე ეხება მცირე ერების ინტერესების დაცვას. მისტერ სტოქსი ძალას არ იშურებდა რომ საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთა ლიგის მფარველობა მიეღო.“

ქართველი ბიზნესმენი აკაკი ხოშტარია და მისი მეუღლე მინადორა თურქია-ხოშტარია. აკაკი ხოშტარიას მიერ ბრიტანული დიპლომატიური მისიისთვის გადაცემული საკუთარი რეზიდენცია, სადაც 1919-1920 წლებში ცხოვრობდა ოლივერ უორდროპი. თბილისი, მაჩაბლის 13. ფოტოები ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციიდან.



გერმანიისაგან განსხვავებით, ინგლისის ჯარები საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას არ მოუწვევია. ბრიტანელი მეომრებით დაკომპლექტებული მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო ძალა კავკასიაში, უ. ჩერჩილის სიტყვით რომ ვთქვათ, პირველი მსოფლიო ომის „მემკვიდრეობით“ აღმოჩნდა. ამ „მემკვიდრეობის“ უფლებით, ინგლისი რეგიონის მეთვალყურედ, ფაქტობრივად კი, პატრონად იქცა.

ასე იყო თუ ისე, დავასრულებთ იმით, რითაც დავიწყეთ:

როგორც სერ უორდროპი აღნიშნავდა საქართველოში ცხოვრებას თავისებური ხიბლი აქვს. პოლიტიკის მიღმა სხვა უხილავი ძაფებით ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებულ ბრიტანულ მეგობრებს თავისად გრძნობდნენ ქართველებიც, უყვარდათ ისინი, ეიმედებოდნენ, ეამაყებოდნენ... ოლივერ უორდროპმა მნიშვნელოვანი დრო მარჯორი უორდროპის ფონდს მიუძღვნა, რომელიც უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებდა. ფონდი მატერიალურად ეხმარებოდა ინგლისში მყოფ ქართველ სტუდენტებს, რომელთა შორის მიხაკო წერეთელიც ყოფილა. ოლივერი განაგრძობდა ქართული წიგნებისა და ხელნაწერების შექმნას ოქსფორდის უნივერსიტეტის, ბრიტანეთის

მუზეუმისა და ლონდონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისთვის. ოლივერმა ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს უილიამ ე. დ. ალენთან ერთად ინგლისში "საქართველოს საისტორიო საზოგადოება" დააარსა (1930 წ.) და ჟურნალი „გეორგია“ გამოსცა. ის აგრეთვე მატერიალურად ეხმარებოდა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს თბილისში (დაარსდა 1917 წელს). უორდროპთა დამსახურებაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე პეტიციის შედგენაც (1905 წ.), ნაშრომი საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ და სხვ. ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია უორდროპების მიერ მომზადებული მასალები, რომელთა შორისაა ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილები", შალვა დადიანის მოთხრობა "აბრსკილის", ქართული "ამირანის" აფხაზური ვარიანტი (ჩაიწერა ნიკო ჯანაშიამ), გრიგოლ ორბელიანის ლექსების თარგმანები და სხვ. ოლივერმა შექმნა საპროტესტო კომიტეტი კაზაკთა რეპრესიებისგან ქართველი გლეხობისა და მშრომელი ხალხის დასაცავად და სხვ. უორდროპების ძალისხმევით შეიქმნა ევროპაში ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა.

ქართველი ხალხის ოლივერ და მარჯორი უორდროპებისადმი მაღლიერირების ერთ-ერთი გამოხატულება იყო საჩუქარი გიორგი XII-ის სამეფო ოქროს ჯვარი ყელსაბამით, რომლითაც ქართველ ქალთა საზოგადოებამ ოლივერ უორდროპის ქალიშვილს ნინო უორდროპს ნინობა მიულოცა. „1920 წლის იანვარს შესდგა ქალთა ჯგუფი, რომელმაც იქონია რა მსჯელობა, ოლივერ უორდროპის მაღლობის აღსანიშნავად, გამოთქვა სურვილი, რომ 14 იანვარს, ნინობას, ქართველ ქალთა სახელით მოულოცოს ოლივერ უორდროპის ასულ ნინოს ქართული ძვირფასი ჯვარი, არანაკლებ 130 ათასი მანეთისა.“ ამ დოკუმენტს ხელს აწერენ ცნობილი ქართველი ქალები - ელისაბედ ორბელიანი, პოეტი და მთარგმნელი, ერეკლე II-ის შთამომავალი ბარბარე ყიფიანი, თამარ გელოვანი და სხვები. ქართველ ქალთა ჯგუფმა შეაგროვა დასახელებული თანხა, შეისყიდა და გადასცა ოლივერ უორდროპს ქართველი ერის საგანძური. ქართველმა მეცნიერმა და ისტორიკოსმა მედეა აბაშიძემ სწორედ ზემოთ აღნიშნული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის უნიკალური ჯვარი ნახა ბრიტანეთის სახელმწიფო მუზეუმში. ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, რადგან აქამდე მისი ნახვა ვერავინ მოახერხა და ქართველი მკვლევარების ხელშიც არასოდეს მოხვედრილა. ის ამ მუზეუმის უძველეს ნივთთა განსაკუთრებულ საცავში გადაიტანეს. აქამთა სვლას გადარჩენილი ეს ქართული რელიქვია გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უკვე ხანში შესულმა ნინო უორდროპმა ბრიტანეთის მუზეუმს ჩააბარა, რის სანაცვლოდ მას ჯვრის მულაჟი დაუმზადეს, რომელიც უორდროპის სახლში ინახებოდა.

მედეა აბაშიძე იხსენებს: „ნინო უორდროპის სახლში რომ შევედი, თავი საქართველოში მეგონა, რადგან მას ჰქონდა უამრავი წიგნი საქართველოზე, თამარის ხატი, შოთა რუსთაველის ფრესკის რეპროდუქცია, წმ. ნინოს ხატი და კიდევ სხვა ბევრი ქართული ნივთი. აქვე იყო გიორგი XII-ის ჯვრის მულაჟიც. როგორც ქალბატონმა ნინომ იცოდა, აღნიშნული ჯვარი VII საუკუნისა იყო და ბაგრატიონებს ეკუთვნოდა. მან მითხრა ვის გადასცა ჯვარი და თაროც მიმითითა სად უნდა ყოფილიყო ის, მაგრამ ჯვარი მითითებულ ადგილზე არ ინახებოდა. მხოლოდ ბრიტანეთის სამეფო მეცნიერებათა

აკადემიის ჩარევის შემდეგ მიჩვენეს იგი. თუმცა საგამოფენო დარბაზში კი არ მაჩვენეს, საშუაო ოთახში ჩამომიტანეს და იქ მომცეს საშუალება მეტუშავა“. ქალბატონმა მედეა აბაშიძემ ბოდლის ბიბლიოთეკაში მიაკვლია და საქართველოში ჩამოიტანა მარჯორი უორდროპის დღემდე უცნობი ხელნაწერის ასლი - „მოგზაურობა საქართველოში“. მან აქვე მიაკვლია უორდროპების მიმოწერას გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან.

გულისამაჩუყებელია ოლივერ უორდროპის სიტყვები საქართველოზე:

„ახლა ჩემი ორი საყვარული ერთმანეთის
გვერდითაა: შენ და საქართველო!“

"საქართველოს უმთავრესი მიმზიდველობა მის
ხალხშია. ქართველები მარტო შესახედავად კი არ
არიან მშვენიერნი და მომხიბლავნი - ეს ჭეშმარიტად
საყვარელი ხალხია - მხიარული, გულღია,
ხელგაშლილი, პატიოსანი და უმწიკვლო".

"მომეწონა რომი, მაგრამ აღფრთოვანებული ვარ
საქართველოთი, ყველაზე ლამაზი ქვეყნით".

"გურულების დახვეწილი ნაკვთები გასხვივოსნებულია
ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ინტელექტი და
დაუცხრომელი სული ჩანს".

ოლივერის სიყვარული საქართველოსადმი მისი ოჯახის წევრებმაც გაიზიარეს. ოლივერის მეუღლის, მარგარეტ კოლექტ-უორდროპის, მათი შვილების - ჯეიმზის (ფარნავაზის), ანდროსა და ნინოს კარი ყოველთვის ღია იყო ლონდონში ჩასული ქართველებისთვის. სერ ოლივერ უორდროპს სჯეროდა, რომ საქართველო დაიბრუნებდა დაკარგულ დამოუკიდებლობას და სურდა, დამოუკიდებელ საქართველოში ბრიტანეთის წარმომადგენლად დაბრუნებულიყო. მას სწამდა **"მცირერიცხოვანი, მამაცი, სულით უტუხი, დახვეწილი და ნიჭიერი ერის გაბრწყინებისა", საქართველოს ბრწყინვალე მომავლისა.**

უორდროპებმა თავისი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნეს.

მათმა ღვაწლმა საქართველოში უკვალოდ არ ჩაიარა. ქართველებმა თავისებურად უპასუხეს მათ სიყვარულს და მიაგეს პატივი. ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უცხოენოვან წიგნთა სამკითხველო დარბაზს უორდროპების სახელი ჰქვია.

თბილისში კი, პარლამენტის წინ, უორდროპების სახელობის სკვერია, რომელსაც ჯუმბერ ჯიქიას მიერ შექმნილი მარჯორისა და ოლივერის ძეგლები ამშვენებს...



*„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაში არასოდეს
ივიწყებენ მეგობრებს...*

გამოყენებული ლიტერატურა :

1. <https://drive.google.com/drive/folders/1c-DkMMXt5ss7TSsc8gjp13eGB6OFE4Ki>
(ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ მოწოდებული მასალები)
2. სტოქსი _ პოლკოვნიკის დახული წერილები (დოკუმენტური ფილმი)
<https://1tv.ge/show/stogsi-polkovnikis-dakheuli-werilebi/>
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ბექა კობახიძე, საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. სამეცნიერო ხელმძღვანელი. ისტორიის დოქტორი , პროფესორი დიმიტრი შველიძე, თბილისი, 2015.
<https://mail.google.com/mail/u/0/?tab=rm&ogbl#all/FMfcgxwLttDKrdTmrKWchlBHWbNnvJfj?projector=1&messagePartId=0.1>
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს ეროვნული არქივი. სერ ოლივერ უორდროპი, 150. შეადგინა ბექა კობახიძემ. თბილისი 2015
<https://mail.google.com/mail/u/0/?tab=rm&ogbl#all/FMfcgxwLttDKrdTmrKWchlBHWbNnvJfj?projector=1&messagePartId=0.2>
5. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 137- 138. საქართველო და ინგლისი.
<https://mail.google.com/mail/u/0/?tab=rm&ogbl#all/FMfcgxwLttDKrdTmrKWchlBHWbNnvJfj?projector=1&messagePartId=0.3>
6. მედეა აბაშიძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი. ჟურნალი "ისტორიანი",#100
<https://www.kvirispalitra.ge/istoriani/56462-qakhla-chemi-ori-siyvaruli-erthmanethis-gverdithaa-shen-da-saqarthveloq-uordropebi-da-saqarthvelo.html>
7. უორდროპები და საქართველო ქეთი გოგილაშვილი
<http://www.ai-ia.info/online-arqivi/19-uordropebi-da-saqartvelo.htm>
8. მარჯორი და ოლივერ უორდროპები, ნიკოლოზ ალექსიძე
<https://www.gfsis.org/files/my-world/28/Wardrops.pdf>